

„კარდიოლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „კარდიოლოგია“.

2. სპეციალობის შინაარსი:

„კარდიოლოგია“ არის შინაგანი მედიცინის სპეციალობა, რომელიც შეისწავლის გულის და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების ეტიოლოგიის, პათოგენეზის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პრევენციის საკითხებს.

3. ზოგადი ცოდნა:

ა) კარდიოლოგია მოიცავს ჩამოთვლილი დაავადებებისა და პათოლოგიური მდგომარეობების სიმპტომატოლოგიას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პრევენციას:

- ა.ა) არტერიული ჰიპერტენზიები;
- ა.ბ) ათეროსკლეროზი, დისლიპიდემია;
- ა.გ) გულის იშემიური დაავადება, მისი მწვავე და ქრონიკული ფორმები;
- ა.დ) გულის კუნთის არაკორონაროგენული დაავადებები;
- ა.ე) მოზრდილი ასაკის გულის შექმნილი მანკები;
- ა.ვ) მოზრდილი ასაკის გულის თანდაყოლილი მანკები;
- ა.ზ) პერიკარდიუმის დაავადებები;
- ა.თ) გულის სიმსივნეები;
- ა.ი) ინფექციური ენდოკარდიტი;
- ა.კ) რევმატიული ცხელება;
- ა.ლ) არითმიები (ბრადი, ტაქიარითმიები);
- ა.მ) აორტის დაავადებები;
- ა.ნ) პერიფერიული არტერიული სისტემის დაავადებები;
- ა.ო) ვენური სისტემის დაავადებები;
- ა.პ) აორტის და გულის ტრავმული დაზიანება;
- ა.ჟ) ორსულობის პერიოდის გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგია;
- ა.რ) გულ-სისხლძარღვთა მწვავე და ქრონიკული უკმარისობა;
- ა.ს) პულმონური თრომბოემბოლია;
- ა.ტ) პულმონალური ჰიპერტენზია (პირველადი და მეორადი);
- ა.უ) კარდიოგენული შოკი;
- ა.ფ) ფილტვის სისხლძარღვთა დაზიანებებთან და მცირე წრეში სისხლის მიმოქცევის დარღვევებთან დაკავშირებული პათოლოგიური მდგომარეობები.

ბ) კარდიოლოგმა უნდა იცოდეს კარდიოვასკულურ დაავადებებთან ხშირად ასოცირებული შინაგანი დაავადებების (სასუნთქი სისტემის დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი და სხვა ენდოკრინული დაავადებები, თირკმლის დაავადებები, ინფექციური დაავადებები) ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა.

4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
I10-I15	არტერიული ჰიპერტენზია	მართვა
I 70.0; E75.6	ათეროსკლეროზი, დისლიპიდემია	
I20-I25	გულის იშემიური დაავადება და მისი გართულებები	
I25.5, I42, I43,8	კარდიომიოპათიები	
I01.2; I09; I40; I51,4	მიოკარდიტები	
I34-I37, Q20-Q25	გულის შეშენილი მანკები, გულის თანდაყოლილი მანკები	
I30-I33.9	პერიკარდიუმის დაავადებები	
I44, I45, I46, I47, I48, I49	წინაგულ-პარკუჭოვანი (ატრიო-ვენტრიკულური) და ჰისის კონის მარცხენა ფეხის ბლოკადა, გამტარობის სხვა დარღვევები, გულის გაჩერება, პაროქსიზმული ტაქიკარდია, წინაგულების ფიბრილაცია და თრთოლვა, გულის რითმის სხვა დარღვევები	
I30.1	ინფექციური ენდოკარდიტი	
I00 – I02, M79.0	მწვავე რევმატული ცხელება, რევმატიზმი დაუზუსტებელი	
I50, I50.1	გულის უკმარისობა	
R57.0	კარდიოგენული შოკი	
I71, I73, I70, I74	აორტისა და პერიფერიული არტერიული სისტემის დაავადებები	
C38.0	გულის სიმსივნეები	
I95-I99	სისხლის მიმოქცევის სისტემის სხვა დაავადებები	
I80, I82, I83	ვენური სისტემის დაავადებები	
I89.1, I89.8, I89.9	ლიმფური სისტემის დაავადებები	
I26-I28, J00-J06, J20-J22, J96, J12-J18,9, J81, J44	ფილტვების სისხლმარღვთა დაზიანებებთან და მცირე წრეში სისხლისმიმოქცევის დარღვევასთან დაკავშირებული პათოლოგიური მდგომარეობები (ფილტვის არტერიის ემბოლია, ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია, მცირე წრის პირველადი ჰიპერტენზია, ფილტვისმიერი გული და სხვ.)	
O99.4	ორსულობის პერიოდის გულსისხლმარღვთა სისტემის პათოლოგია	
კარდიოვასკულარულ დაავადებებთან ხშირად ასოცირებული შინაგანი დაავადებები:		
J00-J99	სასუნთქი სისტემის დაავადებები	თანმხლები კარდიოლოგიური პრობლემების მართვა
E10-E14 , E00-E07	შაქრიანი დიაბეტი და სხვა ენდოკრინული დაავადებები	
N17 –N19	თირკმლის დაავადებები	

5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმ-კარდიოლოგს შეუძლია შემდეგი კვლევების შედეგების შეფასება და კლინიკური ინტერპრეტაცია:

ა.ა) სისხლის, სხვა ბიოლოგიური სითხეების და მასალების ბიოქიმიური და ციტოლოგიური გამოკვლევები;

ა.ბ) ეკგ; სტანდარტული, 24 საათიანი, ეკგ სტრეს-ტესტი;

ა.გ) ულტრაბგერითი გამოკვლევა/ექოკარდიოგრაფია და სისხლძარღვების დუპლექს სკანირება;

ა.დ) გულმკერდის რენტგენოსკოპია და რენტგენოგრაფია;

ა.ე) გულსისხლძარღვთა სისტემის კომპიუტერული ტომოგრაფია (CT);

ა.ვ) გულსისხლძარღვთა სისტემის მაგნიტურ-ბირთვული რეზონანსი (MRI);

ა.ზ) გულსისხლძარღვთა სისტემის რადიოიზოტოპური გამოკვლევები;

ა.თ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის კათეტერიზაცია, ანგიოკარდიოგრაფია, მათ შორის, კორონაროგრაფია და ვენტრიკულოგრაფია.

ბ) ექიმ-კარდიოლოგს შეუძლია შემდეგი სამედიცინო მანიპულაციებისა და პროცედურების ჩატარება:

ბ.ა) ეკგ, 24-საათიანი ეკგ მონიტორირება (ჰოლტერი);

ბ.ბ) ეკგ სტრეს-ტესტი;

ბ.გ) კანქვეშა, ინტრამუსკულური და ინტრავენური ინექციები;

ბ.დ) ცენტრალური ვენების და პერიფერიული სისხლძარღვების პუნქცია და კათეტერიზაცია;

ბ.ე) კარდიორეანიმაციული ღონისძიებები: გულის არაპირდაპირი მასაჟი, ელექტრული კარდიოვერსია, გულის დროებითი ელექტროსტიმულაცია;

ბ.ვ) სითხეების და პრეპარატების ი/ვ ტრანსფუზია;

ბ.ზ) თორაკოცენტეზი;

ბ.თ) პერიკარდიოცენტეზი;

ბ.ი) ტრაქეის ინტუბაცია და ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია (მხოლოდ ინტენსიური კარდიოლოგიის სერვისის მიწოდებისას).

ბ.კ) ტრანსთორაკალური ექოკარდიოგრაფია (TTE). (10.11.2016 N01-45/6)

6. გარდამავალი ეტაპის რეგულირება: (10.11.2016 N01-45/6)

ა) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს, განახორციელოს საექიმო საქმიანობა სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობის ფარგლებში;

ბ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტებს, რომელთაც „კარდიოლოგიის“ სამწლიანი სარეზიდენტო პროგრამის დასრულების საფუძველზე მიენიჭათ სახელმწიფო სერტიფიკატი საექიმო სპეციალობით - „კარდიოლოგია“ (მ.შ., 2018 წლამდე სერტიფიცირებული პირები), უფლება აქვთ, განახორციელონ „კარდიოლოგიის“ კომპეტენციებით განსაზღვრული საქმიანობა, გარდა ტრანსთორაკალური ექოკარდიოგრაფიისა (TTE). აღნიშნულ სფეროში საქმიანობა შესაძლებელია შესაბამისი სპეციალიზაციის კურს(ებ)ის დასრულების შემთხვევაში;

გ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტებს, რომელთაც ამ ბრძანების ამოქმედებამდე მინიჭებული აქვთ სუბსპეციალობის მოწმობა - „ექოკარდიოგრაფია“, უფლება აქვთ, აწარმოონ ტრანსთორაკალური ექოკარდიოგრაფია (TTE).